საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

N 152 17/10/2015

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2015 წლის 15 სექტემბრიდან-15 ოქტომბრის ჩათვლით კომისიამ ჩაატარა 2 სხდომა, კომისიის სხდომების დროს განხილული იქნა სამი საკითხი:

1) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ;
2) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ძირითადი ქონების გასხვისების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;
3) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობის თაობაზე.

კომისიამ პირველ და მეორე საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა და ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზების მიზნით მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება აუქციონის წესით.

მესამე საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა მოისმინეს და განიხილეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის გ. ხარაბაძის ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობის თაობაზე, რაც კომისიის მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

დავით ჭაკნელიძე

კომისიის თავმჯდომარე

აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია